საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება №6/24

ქ.თბილისი

„29" მაისი 2017 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე–11[1], 36[2] და 36[3] მუხლების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის N708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2015 წლის 05 ნოემბრის N77/სა ბრძანების, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საკონკურსო–საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 21 დეკემბრის N6/31 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი კომისიის აპარატის შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

   ა) ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი - 1 პოზიცია.
   ბ) ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის წამყვანი სპეციალისტი - 1 პოზიცია.
   გ) სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის მომსახურების დანახარჯთა და ტარიფის დადგენის მთავარი სპეციალისტი - 1 პოზიცია.

2. დაევალოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას:

   ა) ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ვაკანტური თანამდებობისათვის საკონკურსო პირობები განსაზღვროს კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 დეკემბრის 6/28 ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაოთა აღწერილობების (ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩათვლით) გათვალისწინებით;
   ბ) უზრუნველყოს კონკურსის ჩატარების პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმისა და გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება;

გ) უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე www.hr.gov.ge და სხვა ვებ-გვერდებზე.

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

კომისიის თავმჯდომარე **კახი ბექაური**